

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia)
სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №55

ქ. თბილისი

2019 წლის 9 ოქტომბერი

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული კომპაქტით განსაზღვრული პროგრამის დასრულების გეგმის (Program Closeout Plan) განახლებული დანართები (დანართი 12 - MCA-Georgia აქტივების რეესტრი, აქტივების გადაცემის ხელშეკრულების პროექტი და აქტივების გადაცემის ტენდერში დასაშვები უწყებების ნუსხა და დანართი 13 - MCA-Georgia შესრულების გარანტიები) (დანართი 1ბ) და ინფორმაცია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული კომპაქტით განსაზღვრული პროგრამის დასრულების გეგმის დანართების 12 და 13 თაობაზე (დანართი 1ა).
2. სტუდენტური სესხების მართვის მომსახურების ხელშეკრულების პროექტი (დანართი 2ბ) და ინფორმაცია ხელშეკრულების თაობაზე (დანართი 2ა).
3. ინფორმაცია სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელი დირექტორის მაგდა მალრამის სს ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცებულ იქნას ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული კომპაქტით განსაზღვრული პროგრამის დასრულების გეგმის (Program Closeout Plan) განახლებული დანართი 12 (MCA-Georgia აქტივების რეესტრი, აქტივების გადაცემის ხელშეკრულების პროექტი და აქტივების გადაცემის ტენდერში დასაშვები უწყებების ნუსხა) და დანართი 13 (MCA-Georgia შესრულების გარანტიები) (დანართი 1ბ). მოწონებულ იქნას ინფორმაცია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული კომპაქტით განსაზღვრული პროგრამის დასრულების გეგმის დანართების 12-ის და 13-ის თაობაზე (დანართი 1ა).
2. მოწონებულ იქნას სტუდენტური სესხების მართვის მომსახურების ხელშეკრულების პროექტი (დანართი 2ბ). მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მალრამეს, გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულება. მოწონებულ იქნას ინფორმაცია ხელშეკრულების თაობაზე (დანართი 2ა).
3. ცნობად იქნას მიღებული სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელი დირექტორის მაგდა მალრამის სს ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩევა.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს ადასტურებენ ხელმოწერით:

გიორგი გახარია
საქართველოს პრემიერ-მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



მიხეილ ბატიაშვილი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე




ივანე მაჭავარიანი
საქართველოს ფინანსთა მინისტრი



თეა წულუკიანი
საქართველოს იუსტიციის მინისტრი



დავით ზალკალიანი
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



ნინო ჩინჩალაძე
საერთაშორისო განათლების ცენტრის
დირექტორი

